




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 28

2016 წლის 21 მარტი



ხაშური


შპს „რეფერალური დახმარების ცენტრი“-სათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფართის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული 2016 წლის 02 მარტის №190 მომართვით შპს „რეფერალური დახმარების ცენტრი“, რომლის ძირითად საქმიანობას მიეკუთვნება გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და სამედიცინო ევაკუაციის უზრუნველყოფა, მოგვმართა თხოვნით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რუსთაველის ქუჩა №38 - ში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს.კ 69.08.63.065) პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართის 7 წლის ვადით პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, იჯარის ფორმით გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის და შპს „რეფერალური დახმარების ცენტრი-ს“ 2016 წლის 02 მარტის № 190 მომართვის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რუსთაველის ქუჩა №38-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს.კ 69.08.63.065) პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართი 7 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, იჯარის ფორმით ხელოვნური თირკმლის ამბულატორიისა და სამედიცინო მომსახურების პუნქტის გახსნის მიზნით გადასცეს შპს „რეფერალური დახმარების ცენტრს“ (ს.კ 401946784).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეფხავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე